



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეკატერინე II-ის განაწესი

ეკატერინე II-ის განაწესი 1767, რუსეთის იმპერიის სამართლებრივი ძეგლი, ფილოს.-იურიდ. ტრაქტატი სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის, აგრეთვე სასამართლო პროცესის საკითხებზე. განაწესი დაწერა ეკატერინე II-მ ახ. სჯულების შემდგენელი კომისიის დეპუტატთა სახელმძღვანელოდ. გამოიცა რუსულად, ფრანგულად, გერმანულად და ლათინურად. შეიცავს განმანათლებლური ლიტერის აზრებსა და მოარულ გამონათქვამებს. განაწესი 1786 ქართ. ენაზე თარგმნა გ. ნაცვლიშვილმა. საქართველოში XVIII ს. დამლევს განმანათლებლური იდეების სულისკვეთებით შედგენილი კანონპროექტები, კერძოდ, „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, მოწმობს, რომ მათი შემუშავება ე. II-ის გ-ის გათვალისწინებით ხდებოდა.

ლიტ.: სამართალი ბატონისშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., თბ., 1964, გვ. 08-010, 016, 075 და სხვ.

დ. ფურცელაძე
